

F 24
1887.

2222
საქართველოს
გაზეთების
კავშირები

საქართველო

საუთველ - კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო
გაზეთი

იანვარს

№ 1

1887 წელსა.

გაზეთი ღირს:

ერთის წლით 5 მან.
ნახევარ წლით 3 მან.
ცალკე ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:
თბილისში რედაქციის კახუ-
რაში. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალან-
დაძესთან.

ისუიდება: თბილისში: ჩარკვიანის
წიგნის მაღაზიაში; ხიდის უკრ-
თან: ალინაევის პაპიროსის მაღა-
ზიაში ქუთაისში: ჭილაძეთ წიგ.
ვაღაზიაში. და ბათუმში პარიკმაზერ
არსენასთან.

ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
Тифлисъ. Въ редакцію газеты
„ТЕАТРЪ“^{№ 1}. Галлерей бывш.
Арцруни, № 149.

საგანთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით
უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს დასაბეჭდათ გამოგზავნილ
წერილებს რედაქცია შეამოკლებს. რედაქცია არა კისრულობს არა დასაბეჭდ
წერილების უკან გაგზავნას; აგრეთვე არ კისრულობს მათ შესახებ მიწერ-
მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი
ადგილი დამწერისა.

ლ ე ქ ს ნ ი

ვის გინახავთ.
(მიმსგავსება)

ვას გინახავთ ქვეყანა მშვენიერი,
სადაც მთანი შემკობილან დაფნითა,
სადაც ჰყვავის ათას ფრად როდოდენდრი,
ბუღბუღთ სტვენა ისმის ზატუნულ-ზამთრითა?

მისკენ გული მიმწევს, მიეშურება!
ვის გინახავთ მხარე მშვენიერება?



ვის გინახავთ ქვეყანა ყვავილების
 სურნელებით დაბტკბარის ნიავისა,
 ზურმუხტ-ჭაღლაკთ, ქარვა-ხეთა მტევნების
 ნებიერი კიდე უსამძღვრო ზღვისა?

ვის გინახავთ მხარე მშვენიერება,
 მისკენ გული მიმწევსთ მიეშურება?

იქ ყვავილნი ვარდ შვენებას ციფლობენ,
 ვარდის მსგავსად ტურფად იფურჩქნებიან,
 დაემგზავსნონ ვარდს, თითქოს ცდილობენ,
 ზამთარშიაც ვით ზაფხულში შვენიან.

იქ დიაცთა სიტურფე და შვენება
 ყვავილებზე უფრო მშვენიერია
 და თვით ვარდიც იმ ვარდებთან ბნელდება;
 იგი მხარე ედემისა მხარეა;

მას აღერსით ზღვა უამბობს ნანასა,
 მაზედ ხარობს ცა, მარად ლურჯი; წმინდა;
 და უგზავნის მას ცხოველს, სვეტაკ ნამსა!
 ვის გინახავთ ვარდის-კონა კოლრიდა?!

მისკენ გული მიმწევს, მიეშურება!
 ვის გინახავთ მხარე მშვენიერება?

30

ფ ე ლ ე ტ რ ა ნ ი ს ტ ე ბ ი

სცენა ფოსტის კანტორაში.

ფოსტის გამგებელი უძახის ფოსტალიონს:

- ვასილ, სად დადიხარ? შენ მისღმში ვერა გნახავს
 კაცი!..
- აქ გახლავარ, თქვენო მაღალ-კეთილ-შობილებავ.
- გაზეთები მიღებულა?

— მიღებული გახლავსთ, ბატონო.

— ვის სახელზედ?

— მათ უღმატებულესობა მარკოვის სახელზედ.

— იმათ ხელი არ ახლო, გესმის? სუფთათ შეხეიე და კანცერტზედ დაუმატე: „მის უღმატებულესობას და კავალერს“... პეტერბურგში მუდამ ავიწყდებათ. სხვა ვის სახელზეა კიდევ?

— პეტრე ვაჭრის სახელზედ...

— ისინი კი აქ მოიტა: სულელო, ვაჭარს რად უნდა? მაგას არც წაიკითხავს იმისთვის იწერს, რომ ხიზილადა და ზეთის-ხილი გამოხეიოს... ყურნალები არ არის?

— არის, თქვენომალალ-კეთილშობილებაც! „საკითხავი ბიბლიოთეკა“ მაქსიმოვის სახელზედ.

— ისიც აქ მოიტანე, განა ტყუილად არის საკითხავი? უნდა წაიკითხოთ რაღა!..

— ომის სუნი უდის, თქვენო მალალ-კეთილშობილებაც. (აძღვეს ყურნალებს.)

— არა, შეიძლება მართლა?

— სწორედ, თქვენო მალალ-კეთილშობილებაც.

— ენახოთ! (ხსნის ყურნალს და, „მოდის“ „სურათს იღებს“) ერთი შეხედვით როგორ სურათივით დახატულები არიან. (ფოსტალიონს უჩვენებს.) ვასილ ერთი შეხედვით, ნერწყვი მოჰკერის კაცსა!

— შეუღარებელი ქალები არიან, თქვენო მალალკეთილშობილებაც! მთელ სიცოცხლედ ღირს.

— ჩაგესო გულში ლახვარი? რა ლამაზებია! სწორედ, დახატული სურათებს რომ იტყვიან, ისაა. მოდი, ვასილ, ეს შენს ქალბატონს მიუტანე... ეს წიგნიც გადაეცე; მე შენს მოსვლამდის გაზეთებს ვიკითხავ; (ვოსტალიონი გადის. ფოსტის გამგე კითხულობს გაზეთს, კითხვის დროს ხან მხარსი წევს, ხან ხელებს შლის, ხან თითებს ტუჩზედ იღებს და ღიღს გაკვირვებაში მოდის, ბრუნდება ფოსტალიონი).

— აი, ხომ იცრუე, ომის არაფერი არა წერია... თუ იქნება ძალიან გვიან..ერთი აჯანყება კი მომხდარა... ორი მიწის ძვრა... ხარკოვში ორი ორ-ორ სართულიანი სახლი დამწვარა... კალიფორნიაში ოქროს მადანი კიდევ აღმოუჩენიათ.

— ეჰ, თქვენო მალალ-კეთილშობილებაც, რომ შესაძლებელი იყოს, იქ გადაყვანას გთხოვდით...

— არ შეიძლება, მე შენ აქა მკირდები!

II

(შემოდის ებრაელის ქალი წერილით) ებრ-ქალი—თქვენო მალალ-კეთილშობილებავ!

— შაბას მოდი, დღეს არ მცალიან.

— შაბათს რჯული ნებას არ მძღვეს, ბატონო.

— მე ხომ არ დამიდგენია, რომ არ გაძღვეს, რა ჩემი საქმეა?

— მიშველეთ, ბატონო, ცოლ-შვილს ღმერთი გიდღეგრძელებს, ესლა მიიღეთ, ძლიერ საჭიოა... ჩემს სიმამრს ესთხოვ ახალი პასპორტი გამოუგზავნოს ჩემს ქმარს... ოღონდ ესლა პასპორტი გამოგზავნოს და მერე მიძღვეთ არ მიეწერ და თქვენს მალალ-პატროსნებას არ შეეწუხებ...

— ძროხა მინამ ბღვილს არ მიატოვებს, სანამ თივას არ დაუყრი... გესმის თუ არა. რომ გეუბნები არ შეიძლება მეთქი?!.. გადი აქედამ მეთქი!..

— რა ექნა, რომ წავიდე? ან სად წავიდე, თქვენო მალალ პატროსნებავ? მორღეთ მოწყალეება მირღეთ ეს წერილი!... თუ სიმამრმა პასპორტი არ გამოუგზავნა, ჩემს ქმარს ციხეში დამრწყვედვენ!...

— გვა მინც იქით აქვს!.. ვასილ, რას უყურებ, შე რე გვენო? აბა ერთი მაგას.. (ვასილს გაჰყავს ქალი).

— გადი, გადი და კვლავ არ მოხვიდე, გესმის? კარი მიეხურა. თქვენო მალალ-კეთილშობილებავ?

მიხურე, შე ბრიყვო, განა მაგასაც კითხვა უნდა? ამისთანა რეგენის კაცის მნახველი არა ვარ! დაიგრიხე წვერება, შენმა მზემ ჩემს ცოლს არ მოეწონა!

ივლიანე სენაყელი.

— — — — —

ჩემს მოძღვარს.

მწყემსო! უმანკოვ, მართაღო სუღო,
 რამ დაგადონა ეგრე მძიმეთო,
 ნუთუ ამ სოფლის უსამართლობამ
 გიგო შენც მახე, დაგჭრა მწარეთო?

— — — — —

თუ შენსა მართაღს, ზეცვიერს მცნებას
 ვერ მიხვდა ჩვენში ხალხის გონება,



რომ მათაც შენთვის მოეცათ მხარი,
რომ განედევნათ კერძთა მონება....

მაგრამ შენ, მწუემსო, უმანკოვ ქველო,
ნუ შეუდრკები უგნურთ ფარ-ხმალოსა!..
მოვა დრო, როცა შენს წმინდა შრომას
ჩვენში დასდებენ ღირსეულს ფასსა.

ქაინოსრო გელოვანი

ს ე წ ე ნ უ ი ა .

„Patrie“ („სამშობლო“) დიდს ოპერაში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც „თეატრის“ მკითხველებს ვატყობინებდი, რომ ოპერად გადაღებულს „Patrie-ს“ დიდს ოპერაში დადგმას უპირობენ-მეთქი.

გუშინ 8 (20) ქრისტისობისთვის პირველი წარმოდგენა იყო, მაგრამ ვიდრე პირველს წარმოდგენაზე ვიტყვოდა რასმე, რამდენიმე სიტყვით მინდა შეუგოთ თავი რეპეტიციონს.

წუელ-დიდობაზე საფრანგეთის სამხრეთის ნაწილის მცხოვრებლებს დიდი ზარალი მოუვიდათ; დაზარალებულების საშუალოდ 30. რიზის მწერლობამ კამიტეტი შეადგინა, რომელსაც დაზარალებულებისათვის რაზე სახსარი უნდა ამოეჩინა; ამ დროს „Patrie-ს“ დიდს ოპერასთვის ამზადებდენ და კომიტეტს აზრად მოუვიდა „Patrie-ს“ თავი რეპეტიციონი დაზარალებულების სასარგებლოდ წარმოედგინათ; მიჭმართეს პიესის ავტორს ბ-ნს ვიკტორიენ სარდუს, მის ლექსად გადაძებეს ბანს გალეტს, დრამის ოპერაზე გადაძებეს ბ-ნს შალადილქს და ოპერის გამგეობას; პირველი სამი ძალე დაითანხმეს, მხოლოდ ოპერის გამგეობა ცოტას ყოყმანობდა—ეძინებოდა კარგს შემოსავალზე ხელის ალება, მაგრამ აქ ხალხმა მთავარ-მინისტრმა საქმე გაჩაღსა.

თავი რეპეტიციონი 5 (17) ქრისტისობისთვის იყო დანიშნული. ეურნალ-გაზეთობის სიტყვით რეპეტიციონს ძრვიელკარა-

კათ ჩაუკლია, როგორც გარეგანის სიბრწყინვალით და სიღამაზით, ისე რაღებებს ხელაგურად შესრულებით.

ხალხი დიდ-ძალი დასწრობია და განსაკუთრებით პარიზის წარჩინებული პირთაგანი.

საღამოს 95,000 ფრანგი შემოსავალი აშკარად გვიჩვენებს, თუ პარიზის საზოგადოება, რა რიგად შველის საქველ-მოქმედო საქმეს.

თუმიც საგრძნობლად არა, მაგრამ ბ. სარდუს დრამის ონე-რასზე გადაღებით ოდნავ მიანც შეიცვალა, მაგალითად დრამაში ბა-ლეტი არის შეტანილ; რაფაელი (ფაინოშ) ფლამანდულების პატრიის საცემად, ითხოვს ქალაქის თავის თან-დასწრებით ბალის გახსნას. სუჟეტს უარსება. ესპანელი სენიორები ამ შეურაცხველით აღელვებულნი, ამოღებულის ხმლებით ერეკიან ფლამანდულებს, ამ დროს, რაფა კარლო (ხიმშიაშვილი) შემოდის, ქალიშვილთან მუსლს იღრკვს და თავის მოძმეების პატრიკებს ემუდარება.

— ვერ გიღნობენ, ეუბნება, მიუტოვეთ!

სტენა ძრეულ დრამატული და დიდს კონტრასტს წარმოადგენს ამ სიმხიარულესთან, რომელიც სასახლეშია.

აი უმთავრესი ცვლილება „Patrie“-ში!

დაუემატოთ ამაზე რომ ბ. გალტის ლექსები, რომლებმაც ბ. სარდუს შრომა შესცვალეს, ძრეულ ადვილი, სუფთა და ყურის-თვის სასიამოვნოა არიან.

რაც შეეხება მუსიკას, ის მეტის-მეტად ხელაგურად არის შეთანხმებული დრამის სხვა-და-სხვა გარის აღსკვითან; ერთობა რომ ოპერის აკტორს უტირნია და უკუნისნა დრამის გმირების ტირილით და კუნესით.

სუჟეტსაზე საგრძნობელი რისოროია (ლეონიძე). საღამო, რომელსაც ის ქალაქის საბჭოს (*l'ôtel de ville.*), ფლამანდების თავისუფლების აკვანს უგზავნის; ვუდრება კარლოოს მიმართ, როდესაც მის ღალატს ტყობულობს, დიაკონის გვაძთან გულ-საკლავა გამოთხოვება დრამა გრძნობებით არის გამსჭვალული: მსძენელი უნებურად უფოფს მღელვარებას მას, ვინც ამ გმირს ჩაუდგა სული.

სხვა პირები ისე სახიერად არ არიან გამოყვანილი, როგორც რისოროია და ადვილი განსაკუთრებით არის, რადგანაც კომპოზიტორის

სული ჰოქტის ხელით უნდა ხელმძღვანელობდეს, ე. ი. იმ პირს უნდა მიაჭციოს ყურადღება, რომელიც ჰოქტს თავი პირად გამოჰყავს.

პირველი მოქმედება წარმოადგენს ცოცხალს და ლამაზს სურათს: ტრემულის (დადიანის) მოთხრობა თავის დაპატიმრებაზე, მსახურების და ზატომრების შემოსვლა, ზარების რეკა, დონა რაფაელის მოსვლა, რისორორის გამოკითხვა და კაპიტან რინკონის (ისრაფელი) ამბავი, რომლითაც თავის მასპინძელს ამართლებს. სურეკლას ეს დიდის ხელაგებით მოუთავსებია კომპოზიტორს.

მეორე მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ რისორორის ცოლს და კარლორს; მდგომარეობა უნებურად იწვევს სიყვარულის დუეტის წამოთქმას. ფარდა რისორორის გულის და გულ-საკვალავის ჩივილის შემდეგ ეშვება. აი კონტი ცოლთან არის; ის თავის სიმშვიდით და ენერგიით საშიშარი სანახავია—მას სურს გაიგოს მისი სახელი, ვინც მას შეურაცხ ფოფა მიაყენა; ერთს ძრეულ დრამატულად გამოხატულს დუეტში დოლორეს (ქეთევან) გულითაცან რისორორისადმი სიმძულვარის კივილი ისმის.

მესამე სურათი თითქმის ბალეტს უჭირავს.

მესამე მოქმედება წარმოადგენს დასმენის დიდს სცენას; რისორორის ცოლი ტეობელობს შეთქმულების საიდუმლოს; მათ ასმენს დუკ დალბოან (მაჯი აბასია), რომელიც თავის საზარელის მრჩეველებით არის შემორტყმული; გასცა ქმარი, ამავე დროს უნებურად თავის საყვარელიც; უკანვე უნდა თავის ნათქვამის დაბრუნება, ბუტბუტებს, სწებს, მაგრამ ვკან-ლას; დუკ დალბოა მეუწინა რებელია. დრამის ეს ალბი საეკეთესოა: ამ წამითგან მეუიკის ხმა ხელახლა მატულობს და ბოლოს ქუხილივით თავდება ესპანელების ქალაქის საბჭოში შესვლით.

კარლოო შეთქმულების თავშია; რისორორმა ესლა უკვე იცის, რომ ის მისი ცოლის საყვარელია; შეუძლია მის მოკვლა და არა ჰკლავს, მარტო იმისთვის, რომ მისი მოკვლა სამშობლოს დაღატია. უცბად მოისმის დოლის რახი-რუხი და ესპანელების ზარის რეკა; შეთქმულება გარს შემორტყმულნი არიან და იწეობა ფლეტა.

მხელი გამოსასატკივია ის გულ-დამწველი და ამაშფოთებელი მოქმედება, რომელსაც აქ მუსიკა ასდენს.



ორი უკანასკნელი სურათი მოკლეა. ერთში კარლლას დე დოლერეს დუეტია; დუეტს ახუმებს გლოვის გაღობა ბერებია-სა, რომლებსაც შეთქმულები დასაწყევად მიჭყავთ. კარლლო დოლო-რეს ჰელავს.

როდების შესრულებას დრამის დირსი იყო. რისორორის როლს ბ. ლა-სალი ასრულებს, ეს შესანიშნავი მომღერალია, რომლის ხმა ერთსა და იმავე დროს ალექსებს და იტარებს კაცს; მეოთხე მოქმედებაში კა-რლლასთან დუეტში მისი ხმა გულის ტკივილს და წერამას სა-ტავდა და დიკანისადმი მიმართულს გამოთხრობებაში ისმოდა სა-ცოდავობა და სიხანუელი.

ხალხის ატარებებს ბოლო არა ჰქონდა; ბ-ნი ლასალი რამდენ-ჯერმე გამოთხრობს.

ქ-ნი კროსი, დოლორეს როლის შემსრულებელი, მშვენაური იყო დასმენის სიგნაში.

ბ-ნმა დუეტს დიდის ხელგუნებით შესრულა კარლლას როლი.

ქ-ნმა ბოსმანმა სიცხადით დასატა თავის შესანიშნავი ხმით ნაწი და უმანგო რაფაელი.

დასასრულ ბ. ედუარდ დე-ბეზეკე გარკი დუეტ დაღობი იყო.

ბალეტი მეტის მეტი ბრწყინვალე და ლამაზი იყო; მუბალეტების ტანი სამოსი დიდის გემოვნებით იყო გაკეთებული.

მუბალეტებში თავი იჩინა უკვე გამოჩენილმა ქ. სუბრამ.

ანტისტების ტანთ-საცმელი საუცხოვო იყო.

პ. ყიფიანი



ხალხური ლექსი

იყო მონასტერს ხელმწიფე,
დიდებული ხმელთაზედა,
სასხლე და სადარბაზე
ედგა ოქროს ბოძებზედა;
რომონი ადლი ზურმუხტი
ედგა ტანტად იჭდა ზედა...
ხაბაზები კარსა ჰქებენ,
შიშით ზურის ცხობაზედა,
მზარეული ვერა ჰხანავს

მარალს სოროცის ხარშვანება.
 საწყალმა უთხრა მდიდარსა:
 — მარჯვლათ ხარ საქონელზედა,
 ან მონასტერი ახგე,
 ან ხიდი გადაე წყალზედა.
 მდიდარმა უთხრა საწყალსა:
 — მე მაგ საქმესა ვერა ვიქ,
 თუნდ მოძიევიტო თავი ტანზედა:
 ასე ორასი მუშა მყავს,
 იმას ვადგებარ თავზედა,
 დღეში გლახას ორ ფულს კაძლეკ,
 ჭირით კვსაენი ლოცვასზედა.
 ჭრისტემ კაცი გაუკვსაენა:
 — დღეს მობძანდი ლოცვასზედა.
 — ლოცვისთვის არა მტაღიან,
 ვდგებარ ბუჭითს საქმეზედა:
 ასე-ორასი მუშა მყავს,
 იმას ვადგებარ თავზედა;
 დღეში გლახას ორ ფულს კაძლეკ
 იმას კვსაენი ლოცვასზედა.
 — გლახაც ამას კხვეწება:
 მდიდარი კი ადღებრძლეკ,
 მე დამისსენ ცოდვისაგან.
 მდიდარმა სული დაღია
 შუა ღამისა ხანზედა,
 ეელს რკინა ჭაჭვი მოაბეს,
 გადაჭვიდეს ცინსზედა;
 მისი ცოდვით გაწედა რკინა,
 გადავარდა შარსზედა.
 არც ევაგი და არც უორანნი,
 არც კებნარი ¹⁾ მივა ზედა.
 მონასტერი სულ აურთლდა,
 შესდიოდა მატლი ზედა.

¹⁾ კებნარი ძალღსა ჰქვიან.

საწყაღი გლასა დაზარე ²⁾
 ზატრიარქს უდგა ჩოჭყედა:
 შესს მადლს საფლავი კადრისოთ,
 ნუ გდია შარა გზაზედა.
 სამს ალაგას საფლავს სოსრიან,
 წერაჭკას სცემენ ქვაზედა,
 მონასტერ მიწას მიიღებს,
 გადახვრევის ქარი ზედა.

შეკრებილი ლავრენტი დოლოფობისკან.

კრიტიკა

გეოგრაფიული სახელმძღვანელო სამშობლო

ენის შესახებ ვიკიპედიაზე. (შედგენილი ალექ. ნათაძისგან).

(დასასრული *)

ბოლოს ბ. ნათაძე წარმოადგენს თავის საკუთარს წერა-კითხვის მეთოდს, რომელიც როგორც კითხვით, შეადგენს მთელს ანალიტიკურს კითხვა-წერის სწავლის მეთოდს. სწავლას დასწო-ბინებს მასწავლებელი მეთოდთა, როგორც ანალიტიკურით, სიტყვის შესწავლიდამ, რომელიც დააშლენებს ხმებზედ, შესწავლით ბეჭ-დით ასოს; შეადგენებს შემდეგ მოძრაი ასოებიდან სიტყვებს და წინადადებებს და დასწოების მთ კითხვას; კერძოვე სახელ-მძღვანელო წიგნისას; შესწავლის ბოლოს ასოებს, და სიტყვებს და წინადადებების წერას. არ ვიცით, რა საბუთით ბ. ნათაძემ აუჭ-ცივა გზა ახალ სინკრიტიულ მეთოდს და დაუბრუნდა ისევ ძველს ანალიტიკურს? ეს მით უფრო საკვირველია, რომ სინკრიტიული მეთოდი დღეს მიღებულია მთელს კერძაში და რუსეთში, ამისთანავე არ ვიცით, რა მიზეზით ბ. ავტორი შემდეგ სიტყვის ხმებზედ დაშლისას, შესწავლის ბეჭდურ ასოს და არა წერას. ჯერ უნდა გავს დაწერა და შემდეგ წაკითხა. აქედან წარმოსდგა ქართული სიტყვა „წერა-კითხვა“, ამხედვეს დაფორმებული „წერა-კითხვის მეთოდი“ და არა „კითხვა-წერის“. ეს წესი მით უფრო საჭი-

2) რომელსაც მონასტერში ლოცვაზედ ჰგზავნიდა.



რთა, რომ ამ წესის მიმდევარნი არიან ისეთი საუკეთესო ჰედა-
გოგები, როგორათაც, მკვლელთად, ბე მე, მეიერი, დისტურვე-
ლი, ლუბენი, მეიერი, დინდემანი, ფურე, კერი, შლამბასი და სკახი
და სხვანი.

ახლა რაც შეეხება სახელ-მძღვანელო წიგნის ენას, იგი არის
დაწერილი ადვილად გასაგების და სავალდ წმინდა ქართული ენით,
თუმცა კი, მიახლოების მასში მრავალნი შეტოვებანიც აღვნიშნავთ
რამდენსამე: წინასიტყვაობის მეორე სტრაქტში ბ. ნათამე სწერს
, „მასწავლებლებისათვის, მომბლებისათვის“, სჯობს იყოს «მასწავ-
ლებელთათვის», «მომბლებთათვის»; ამავე წინასიტყვაობის მეოთხე
სტრაქტ. სწერს: „სამომბლო ენა ძალაა, რომელსედაც უნდა შენ-
დობდეს მკვიდრი საფუძველი სწავლებისა“ ძალაზე საფუძველის
აქნება არ შეიძლება, ძალით კი შეიძლება; „სწავლების“ მაგიერად
სჯობს იყოს, „სწავლის“; მეორე სტრაქტ. სწერს „ამ წიგნის მიზ-
ანი: აცდინოს ბავშვები შინაარსს და ინტერესს მოკლებულ სწავლე-
ბისა? თუ რომ სწავლის შინაარსს აცდენს მასწავლებელი ბავშვს,
მაშ რაღაში უნდა დაეხმაროს? უნდა ეწეროს „აცდინოს მოკლე-
ბულს შინაარსს და ინტერესს სწავლას“, სახელბობითი ბრუნვის-
, „შინა- არის“, მეორე გვერდის 1-სა და 24 სტრაქტ. სწერია
, „წერ-კითხვის სწავლებას აზრათა აქვს“; აზრი შეიძლება აქნადეს
მარტო გაცეს, უნდა ეწეროს: «მიზნათა» აქვს; იმავე გვერდის მეორე
სტრაქტ. სწერია „სულეირი ძალაა უნდა ესხნებოდეს“ არ შეიძლება
ესე თქმა, რადგანაც გაცეს მარტო სულეირი ძალა არა აქვს,
მარტო უნდა იყოს ნამდვილად აღნიშნული, რომელი სულეირი
ძალა, ან უნდა იყოს ნახმარები მრავლობით რიცხვით; ამავე გვერ-
დის მეშვიდე სტრაქტ. სწერია „უკარგობადეს ბავშვებს გონებით
მზარესა“; სჯობს ეწეროს „გონებას“. ამავე გვერდის მეცხრე
სტრაქტ. სწერია: „სახმო წესი (сущность), უნდა იყოს საშუალება;
რადგანაც „წესი ნაშნაშ“ „порядокъ“ მეოთხე გვერდის მეხუთე
სტრაქტ. სწერია „სრულიად გაუქმდენ“, უნდა იყოს „სრულიად
გაუქმდენ“, რადგანაც არის დრო გავლილი; ამავე გვერდის მეორე
სტრაქტ. სწერია „ანბანა“, უნდა იყოს „ანბანი“, ან „ანბანა“;
აქვე სწერია: „ასოები ისე არ გამოეთქო როგორც სიტყვაში
ისმის“ უნდა იყოს „ასოები ისე არ გამოეთქვა“; როგორც სიტ-
ყვაში გვესმის“ ამავე გვერდის 13 სტრაქტ. სწერია „ბავშვი ად-
ვილად ჩაპვხედება“ უნდა იყოს „შეიკნება, ან მიხვდება“, ამავე
გვერდის 16 სტრაქტ. სწერია „უნდა ექნა“, უნდა ეწეროს „ექმნა“
რადგანაც წარმოდგება ზმინისაგან „ქმნა“. — მეხუთე გვერდის მეორე
სტრაქტ. სწერია „ეს კი არ იცის—თუ“, უნდა ეწეროს: „ეს კი არ
იცის, თუ“ საზოგადოდ მცირე წერტილი(—)ბ. ნათამეს ძალიან
ახიარებით და უაღაგათ აქვს ხსენარი. ამასთანავე ნიშნები უაღა-

გო-აღაგას აწიან დასმულ ნი; მექვესუ გვერდის მესამე სტრიქ. სწერია: „სიტყვებიდან ვადგენთ წინადადებებს“; უნდა იყოს! „სიტყვებისგან ვადგენთ წინადადებებს“; იმიტომ რომ მოკვებებს კითხვასე „რისგან“ და არა „საიდან“; მეშვიდე გვერდის მე 17 სტრიქ. სწერია, „ბავშვი ეწვევა სიტყვიერებით ორგანოებს“; უნდა ეწეროს, „ბავშვი ეწვევა ღაზანგას“; რადგანაც სიტყვა-„სიტყვიერების“ ორგანოებით სრულებით გაუგებარია; მეცხრე გვერდის 9.სა 11 სტრიქ. სწერია „მინემ, არგანიზმი არგანიზმზე“; უნდა ეწეროს: „მანამ“; რადგანაც ეს შეადგენს კავშირს, „ორგანიზმი“; „ორგანიზმზე“; იმიტომ რომ ეს სიტყვები წარმოსდგებიან ლათინური სიტყვისაგან „ორგანიზმ“: ამავე გვერდის 15 სტრიქ. სწერია „რამდენიმე თვეების განმავლობაში“; უნდა იყოს „რამდენიმე თვის განმავლობაში“; იმიტომ რომ სიმრავლეს საკმაოდ უჩვენებს სიტყვაც „რამდენიმე“ ამავე გვერდის 26 სტრიქ. სწერია „ბავშვი უნდა ჭკვიანთ იყვდეს, არ ანძრევდეს არც ერთს ორგანიზმს“ რამდენი ორგანიზმი აქვს მას თქვენის აზრით, ბ. ავტორო, ბავშვ? მეათე გვერდის 10 სტრიქ. სწერია „ბევრი გონება დასმულია და ზნეებ-გაფუჭებულიები მოაზრებებიან“; უნდა ეწეროს „ბევრი გონება დასმულია და ზნე-გაფუჭებულიები მოაზრებან“; იმიტომ რომ ჩვენ ვიტყვიით „ბევრი ხალხი მოკვდა ქალაქშია, ბევრი ცხვარი დამკროდა“ და და არა „ბევრი ხალხნი, ბევრი ცხვრები“ სიმრავლეს აქ სიტყვაც „ბევრი“ საკმაოდ აჩვენებს. ყველა ამას საჭიროდ ვრაცნათ დაუძმტო, რომ მაინც და მაინც აღნიშნული სახელ-მძღვანელო არ იქმნება უსარგებლო სოფლის მასწავლებელთათვის და მშობლებთათვის.

ჭოყოელი.

18²²/_{VI} 86 წ. ქ. ტფილისი.

წერილი აბბაში.

სწორეთ საყურადღებოა ის, რომ აქამდის ქართველებში ერთი ისეთი პირი არ აღმოჩნდა, რომელსაც შესძლებოდა ქართულს ენაზე ხეიარანი ქართული კალენდრის შედგენა და ბეჭედვა. აქამდის იბეჭდებოდა მხოლოდ მდივანოვის კალენდარი და ავერ ეს ათი წელიწადი მეტია რაც ანატოლოვიც



აბექდინებს და უნდა ესთქვათ, რომ ამ კალენდარმა უფრო გზა გაიკვლია, ვინემცმდივანოვის კალენდარმა. ამ კალენდარების გარდა ქართულს ენაზე სხვა არავის გამოუყვია ისე, რომ ყოველ წელიწადს არ აეცდინოს ბეჭდვა.

მართალია, აღრე ამ ათი წლის წინეთ „დროების“ რედაქტორმა! განსვენებულმა სერგეი მესხმა გამოსცა ქართული კალენდარი, მაგრამ ეს მხოლოდ ორ წელიწადს გაგრძელდა, ამას გარდა. იბეჭდებოდა კიდევ ბ. ლიადის კალენდარი და ზ. კიბინაძისა, მაგრამ ესენიც მხოლოდ თითო წელიწადს გაგრძელდა.

თუ რა მოთხოვნილება არის დღეს ჩვენში ქართული კალენდრისა, ამის შესახებ ჩვენ აქ არას ვიტყვით და ვინც თავს იღებს ამ საკითხს საქმეს, შეადგენს და დაბეჭდავს!—მხოლოდ ის დარწმუნება იმაში, რომ ჩვენი შენიშვნა უბრალო მიზეზისაგან არ იყო გამოწვეული:

* * * ამზატხულს ჩვენის გაზეთის „წერილ ამებში“ მოხსენებულ იყო, რომ ჩვენი „წეს-კითხვის სამმართველო“ „ვეფხვის ტყაოსანს“ ბეჭდვას შესდგომილა, რაისა გამო „ივერიის შიცი“ იყო შენიშვნა. ახლა ჩვენ ნამდვილათ შევიტყუეთ, რომ ხსენებულს საზოგადოებას დაპირება უარ უყვია და „ვეფხვის ტყაოსანს“ აღარ გამოსცემენო, რადგანაც „რობინზონ კრუზო“ დაბეჭდეს და სხვა ბევრს ამისთანების ბეჭდვასაც აპირებენო!

* * * ჩვენ კი რამდენათაც ვიცით, მით პირნათლათ შეგვიძლიან ესთქვათ, რომ წეს-კითხვის სამმართველო ვერც „რობინზონთ“ და ვერც სხვა ათი ამისთანა გამოცემით ვერ მოიგებდა იმდენს, რამდენსაც ვეფხვის ტყაოსნის ახალს გამოცემას მოაგებინებდა.

* * * თუმცა ამას წინეთ, თვლისში შეშის ფასმა გვარიანათ აიწია, მაგრამ ამ საზოგადოეთ ისე დავარდა, რომ ვეება კარგი ურემი სამა მანეთათ და უფრო ნაკლებაც იყიდებოდა.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქუთაისში რამდენიმე ქართველ ყმა-წვილებს ქართული კალენდრის შედგენა და გამოცემა განუძრახათ. ღმერთმა ქნას.

* * * ამ დღეებში ერთ ქართველ ყმაწვილ კაცს ერთი ძველი ლათინური დაბეჭდილი წიგნი მოუპოვებია. ეს წიგნი შეიცავს საქართველოს მეფეების მიწერილ წერილებს რომის პაპებთან. დაბეჭდილია 1625 წლებში, ქ. რომში:

საინტერესო იქნება, რომ ეს წიგნი ქართულად გადმოითარკმნოს და დაბეჭდოს, რაის საშუალებითაც შეიძლება რომ ბევრი უცხო და უცხოები ცნობებიც აღმოჩნდეს.

* * * „მწყემსში“ სწერენ, რომ იბეჭდება და მალე გამოვა,

ფ ე ლ ე ტ ე ნ ი მ ო თ ს რ ო ბ ა ნ ი

I

როდის მოვა ვაში

(მოთხრობა ბრეტ-ჰარტისა)

ერთი საათის მანძილზედ პლაციდან, ზღვის კიდეზედ გადმოჰკილია კლდე, რომელზედაც სეველიანის ხმით, ყოველთვი-სინ ეხეთქებიან, აქაფებულო, შემძლე ზვირთები.

ქვიშიანს ნაპირზედ მოჩანს რამდენიმე ქოხი, თითქო ისი-ნი ზღვას გამოერიყნოს; ყოველს მანლობლათ პატარ-პატარა წეწუშაფებულო მიწები აქეთ, ღობე შემორტყმული ბამბუკის ლერწ-მისა და შემოზღულდული მორებით ანუ გემის ნარჩენი ფიცრებითა, ბაღის მაგვართ მოჩანს შიგ მწვანე კომბოსტო და თალგამი, ბოსტნებს ნაღვლიანი აკვარელის შეხედულობა აქეთ, რომლი-ღვანაც გამოუშვიათ წყალი, არაფერი იქნებოდა აქ გასაოცა-რი, თუ უცბათ შეხვედროდით წყლის ნაპირას, მდომა კომბოს-ტოს კვლებს ანუ ნამფას მწვანე ნაწნაფებით, ზღვის ფურის მწველაფსა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აქ იყო დიდი ტე-ლეგრაფის შენობა, რომელსაც ცამდისინ აფშირნა თავისი მსხვილი ბოძები; მაგრამ ის მალე შესცვალა აბსერვატორიამ, შეერთებულმა ელექტრიულის მართულებით ერთს ხმოვანს და საეაქრო ქალაქს ახალის ქვეყნისასა.

აქვე იყო შესატყობი სტანცია მოსაეღელ გემებისა, აი ამ სტანციაში, უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ხშირათ დაიწ-ყო სელა ვილაც კაცმა, ჯერ კიდევ ახალ-გაზღამ, შეხედულო-ბით ხელოსანი ან კიდევ მენანიკი უნდა ყოფილიყო.

აღმოჩნდა, რომ ეს კეთილი კაცი, დიდი ხანი მუშაობდა ლითონის სათხრაფებში, მოახერხა რამდენიმე გროშის შენახვა და ეხლა მისწერა ცოლს, რომ ის მოვიდეს თავის შეილეებითა; იგი მცირეთ იცნობდა ზღვას და ამასთანავე დროს გემების მოსვლისას და ეხლარაკი სამუდამოთ დასახლდა ს. სან-ფრანცის-კოში, სადაც იმოგნა თავისთვის სამუშაო, ყოველ დღე მო-დიოდა კანტორაში შედგყო გემის მოსვლა.

მაგრამ აგერა გაიარა თვემ; გემი მინც აქსად იყო; გაი-
არა კიდე ერთმა კვირამ, მეორემ, კიდე თვემ, და შემდეგ
წელიწადმ-ც.

კვლავინდებურათ ჩათხრობილი და ამასთანავე კეთილი სა-
ხის გამომეტყველებით დაუღალავის მშრომელისა ყოველთვი-
სინ გამოცხადდებოდა ხოლმე სტანციის კარების წინა.

შემდეგ როგორღაც იგი გაჩნდა აბსერვატორიაში. სალა-
მო ხანი იყო, მუშაობა თავდებოდა; ტელეგრაფისტს უნდოდა
იმისათვის უკმაყოფილოთ შეეხენა, მაგრამ იქამდისინ რაღაც
მორჩილი და მახვეწარი ჩრდილი აჩნდა ამ ტანჯულის სახესა,
რომ უმაწვილი-კაცი მაშინათვე შესდგა და აჩქარებით დაუწყო
ახსნა ყოველივე სასიგნალო საიდუმლოებისა, როგორ უნდა
შეეტყო გემის მოსვლა, მაგრამ ეტყობოდა რომ იმას სულ სხვა
საკურობებაზედ უნდა ეკითხნა.

— მითხარით, რამდენი ხანი შეიძლება დაიკარგოს გემი
შეთუტყობინებლათ, ვიდრე იმას ჩასთვლიან სრულებით დალუ-
პულათა?

— მართალი უნდა გითხრათ, რომ სწორეთ თქმა შეუძ-
ლებელია; ყველა მდგომარეობაზედ არის დამოკიდებული.

— მინც მაგალითად— წელიწადი?

— ჰო, ზოგჯერ წელიწადიც, მხოლოთ ყოფილან შემთ-
ხვევანი, რომ ჩვენთვის შეთუტყობინებიათ გემის უგზო-უკვლოთ და-
კარგვა, მაგრამ ამასთანავე, ერთი ანუ ორი წლის შემდეგ აღ-
მოჩენილა რომ იგი სხვა ნავთ-სადგურზედა ყოფილა.

მაშინ მუშამ გრძნობით ჩამოართვა თავისი მშრომელი
ხელი ტელეგრაფისტსა, სთხოვა მოეტყვებინა შეწუხება და წა-
ვიდა. გემი კი მინც არსად იყო.

ნავთ-სადგურზედ ბევრი სხვადა-სხვა სავაჭრო გემები მო-
დიოდნენ, ბაიჩადებ გაშლილები, გემები ზარბაზნების სროლით
ატყობინებდნენ ხოლმე თავიანთს მოახლოვებას, რომელთა
ხმაც იღუშალოთ შორს მთრთოლვარე ზვირთებ ედ ისმოდა, და
ყოველთვისინ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე ზღვის პირას მა-
ღალ-მაღალი კაცი, შეწუხებულის სახით და მოცლევარეს თვა-
ლებითა, რომელიც გაფაციცებული აკვირდებოდა ყოველ გე-

მიდგან ჩამოსულს მოგზაურსა, რომელთა შორის ცდილობდა ებოვნა დიდი ხნის მოსალოდნელნი, ნაცნობი სახენი; ხომ შესაძლებელი იყო, რომ ისინი მოსულყენენ სხვა გზით, სხვა გემითა? შემდეგ იგი მიმართაჲდა ხოლმე კითხვით კაპიტნებს, მატროსებს—არაჲინ კი აძლედა არაჲითარს პასუხსა.

მაშინ იგი ხელოვნლათ მიდიოდა აბსერვატორიაში; მაგრამ იქაც არა ჰქონდათ დრო ყუველთვისინ მაცათ პასუხი იმის კითხვებზედა; იგი კლავ მიდიოდა კლდის წვეზედ და იქ მთელი საათობით ატარებდა დროს, ზვირთად ქცეულს ზღვაზედ, შორს ყურებითა.

მაგრამ შემდეგ იგი მარტო აღარ მოდიოდა, რომელსაც მოაცილებდა ხოლმე მეორე ამასავით მუშა. იმისი ამხანაგი მძიებელი ბედისა, რომელმაც კარგათ იცოდა იმისი ნაღველი. ექიმებმა აღვიარეს იგი სრულებით უიმედოთ; იმისი სახე უფრო მომეტებულიათა სკვანდებოდა, მხოლოთ თვალები ცრებით აეთ-მყოფისავით უბრწყინავენენ.

მაგრამ შეიძლებოდა განა იმისათვის გამოგვეწიონა ის უქანასქნელი იმედი, რომ გემი „იმიტი და შეილებითა მოვა ამალამა“ და იმან რალაც შთაგონებით დაიწყო ფიქრობა, რომ გემი სწორეთ მოვა „ლამე“ და ბოლოს ნება დართეს რომ იმას გაეტარებინა მთელი ლამე აბსერვატორიაში, რომელიც ბევრჯელ შეშველებოდა ხოლმე დაღალულს ტელეგრაფისტსა—ეს იმას საამურათა ჰქონდა.

თუმცა იმას შეეჩვიენენ, მაგრამ როდესაც იგი ერთხელ ჩეულებრივს ადგილას აღარ გამოჩნდა, ყველამ მხოლოთ შემდეგ მოიკითხეს—სად არის იგი?

და მხოლოთ კვირას, მეორე დღეს, ვიღაც მოსიარულეთა ბრბომ, რომელნიც მიბობლავდნენ კლდე ვთ, მიაქციეს ყურადღება მათ წინ მარბენალი ძაღლის ყფას და როდესაც წივიდნენ იკით მხარეს, შეზხედნენ კაცის გვაჰსა, რომელიც ქეიშაზიდ ეგდო, ჯიბეში უპოვენეს ქალაღლის წერილი ნაჭრები ამოჭრილინი სხვა-და-სხვა გაზეთებიდან და ძველის ქურნაღეზიდგან შესახებ ზღვაში დაღუპული გემებისა, მხოლოთ პირი კი მიქცეული ჰქონდა დაუსრულებელს, დაუდგრომელს, ზვირთათ ქცეულ მღელვარე ზღვისაკენა.

II

მ ზ ო ლ გ ა ნ .

მასხოვს ჯერ კიდევ წინათ, ჩემს აღტაცებულ, უთაურს ემაწვილობის დროს, მე როგორღაც შევიძინე ალისფრად ლიტოგრაფიაზედ დახატული სურათი, რომელზედაც გამოხასხული იყო ფანჯარასთან ახლო მჯდარი ჩერქეზის ქალი. მასხოვს აგრეთვე, რომ ფასი, რომელიც მე მივეცი მაშინ—ისიც მაშინ, როდესაც ჩვენში ჩვეულებრივს ფულათ გრიფილი იყო,—მე ძრიელ ძვირფასათ მეგონა—მაგრამ ჩემს აღტაცებას ამ შეძინების გამო სრულებით აღარა ჰქონდა სამძღვარი.

სურათი მომწონდა მე თავისად და ბუნების სიმდიდრით შეხამება ხომ ისე აჯილდოებდა ისეთაც მშვენიერს სილამაზეს, რომ მარტო ერთი ლოყის ალისფერი გარშემოზღუდული დამამშვენებელი ვარდები, რომელნიც უშტოებოთ აღმოგჯუფუფულ იყენენ კლდის ნაპირებიდგან, უნდა მთაენთქათ არა მცირედი ჭიის ფერის საღებავი. მე გარდა ამისა მიაოცებდა თვით ჩემი იდეია: მე მეგონა, რომ უეჭველათ სადმე უნდა მელოდებოდეს ფანჯარასავე მახლობლათ ამგვარი მშვენიერება! ეს ფიქრი ჩემთვის იქამდისინ სასიამოვნო იყო, რომ მე სრულებითაც არა ვსცდილობდი მომეშორებინა იგი თავიდანა. როდესაც ჟამთა მიმდინარეობის დროს, ჩემი ჩერქეზის ქალი, (რასაკუთრელოია ყოველთვისინ ყოფნის დროს წინაშე დიდის რუქისა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარ კვეყნების შორის) სრულებით გადაყვავდა და დაჰკარგა თავისი მშვენიერება,—მომხაბლავი თვისება იმისი განჰქრა. თქმა არ უნდა მეც სრულებით დავივიწყე ის მშვენიერება და დავკარგე აგრეთვე მასზედ ყოველივე ფიქრები.

და როდესაც მე შემდეგში შემემთხვეოდა ყოველი ჩამამელობის ლამაზების ნახვა, თუ ისინი ფანჯარის მახლობლათ ისხდებოდნენ ხოლმე, რომელთაც მშვენიერს თითებზედა ჰქონდათ თავები დაყრდნობელი—მათ აღარ შევყვანდი მე ინტერესშია, და მე აღეთქვი კიდევ ამ შემთხვევაში,—მიმემართნა ყოველთვისინ იმ ფანჯარებისაკენ, რომლებიც გადმოიყურებიან სახლის უკანა ეზოებშია.

და ჩემდა გასაოცრად, მე ბევრს რამეს შევჭხელი საინტერესოს დასაკვირვებლათა, თუმცა ამგვარი დაკვირვება ყოველთვისინ მუქათათ არ ჩამივლიდა ხოლმე. მაგალითად, მე არა ერთხელ უნდა მეცრუენა რომ ვითომც ვეძებ ქირით მისაცემ სახლსა და გამომეტანა თანა ამასობაში იჭვიანი ცქერა სახლის

პატრონებისა, თუ დიდხანს გაეჩერებულიყავი წინაშე იმ ფანჯრებისა, რომლებიც გადმოიყურებიან სახლის უკანა ეზოშია; ბევჯერლაც განძარფარ მხეერპლი საშუალ-განმომეღელი ქარისა და ერთხელაც რამდენი გულითადი ამხანაგთაგანი კინალამ მტრებათ გადგიკიდე, ჩემის დაურიდებლათ მისელით მათ ფანჯრებთანა, რომლებიც ეზოში გადმოჰყურებენ, ისიც იმ დაროს, როდესაც თოკებზედ გაფენილი იყო თეთრეულეობა ქალბატონი ჭანისა, „რომელიც სრულებით ვერ არის კარგათ და არაგის იღებს“ აღმოჩნდა სარეცხის მრეცხავათ; ბატონი ბოდბი, რომელიც „ძრიელ საქმეში გართულია“ ყოველთვი იმ განთიადისას გალღერეიაში დასვირობდა.

მაგრამ ზოგჯერ ამგვარს არ წარმართებულს ცდაში, მე ჩვეულებრივ ვინუგეგმბდი თავს მაგალითით უდიდესის გალილისა ანუ სხვა სიმართლის მაძიებელთა, რომელნიც გამოკვლევას ისე არა ჰმორაგებოდნენ უბრალოთ, — და შეუღრეკლათ ხელ-ახლათ შეუღკებოდნენ ხოლმე თავიანთს გამოკვლევასა.

მაგრამ ეხლა, პიოველსავე შეხედვით რომელიმე მტირედიც არის კარგის ოთხის მქონესი, რომლის ფანჯრებიც სახლის უკანა ეზოს გადმოჰყურებენ, მე თითქმის შეუცდომლათ შემოძლიან განესაზღვრო იმისი ხასიეთი.

კოხტათ მოწყობილი გარეგნობა შენობისა თავისის საუკუნოვო პადივზდით და მშვენიერი ფანჯრებით ქუჩის მხრივ, ეს ხომ ყველა მარტო მორათულობისათვის არის, თვალების ასახევეათ მნახველისა; მაგრამ ნამდვილი ცხოვრება, ყოველივე იმისის სინამდვილის მხრით, სწორეთ რომ სახლის მეორე უკანა მხარე არის!

აგერა, თუნდა აი ის თვალ-საჩინოთ ჩაცმული ვაჟ-ბატონი, ისეთის მედიდურის ღირსებით რომ შემოდის საღღესასწაულო დარბაზში, სრულებით ისე არ გამოიყურება, როგორც დილით დაგლვეჯილის ფლოსტეით, ბუზლუითა და გაჯაერებული სამხარეულოში კითხულობს თბლ წყალს წვეურის მოსაპარასათა, ანუ აი ის ქალბატონი, რომლის ვარდის ფერი სახე, დილით ეზოსაკენ ფანჯარამი, ჰხედავთ რალაც დაღმენჭილსა და ფერ დაკარგულსა ჰგავს; მედიდური ძვირფასი თმა რომელსაც ეხლა ჰხედავთ, მაშინ საძ. გლათა აქეს აწეწილი: და იგი გეჩვენებათ ერთი ათი წლით დიდი სინამდვილის ფანჯარის ჩარჩოშია; რომელიც გადმოჰყურებს უკანა ეზოშია.

მოხდება რომ თითონ მახლოალი ნაცობებიც ვერ იცნობენ ხოლმე ამ დაუნდობელ *sov-a sov*.

თქვენ მაგალითად შეგაძლიანთ რანდენიც გნებავთ ოცნებით; როდესაც გაიფლით იმ ფანჯარის მახლობლათ



სადაცა ჰსცხოვრობს ქალი თქვენის გულისა, თქვენ დაინახეით კიდევ იმისი მშვენიერი თავი კრუჟევის ფარდებს უკან, მაგრამ თქვენ სრულებითაც არ მოვსვლიათ ახრათ, რომ თქვენა სცხოვრობთ პირ-და-პირ ავეჯა მთელი თვე სახლის უკანა ეზოს მხრივა; რომ ის პირი, რომელსაც ძველი თავზედ მოსახვევი ეხვია, სიმხიარულის გამომეტყველებით ელაპარაკებოდა ყასაბს ანუ ხმა მალლა უჯავრდებოდა ეზოში თავის უმცროს ძმას— სწორეთ რომ ის არის თქვენი ღმერთა!

ჩემი ფანჯარა რომელიც ეზოს გაღმავლებებს, ბევრს რამ საინტერესოს წარმოადგენს, ამგვალითად ამ წუთში, მე ესაქმობ ფანჯარასთან ახლო... ბინდდება... ბაღილგან მოაღწია ჩემამდისინ გრილმა ნიავმა... მე ებურავ ფანჯარას, მაგრამ ჩემამდისინ მაინც სულ მოისმის ალიაქოთის ხმა პირ-და-პირ № 7 სახლიდგანა, ხმა მომეტებულათ შემაწუხებელი ვიდრე ვისიმე სასურველია სასმენათა; ეს უსათუოთ მეგობრული საუბარი უნდა იყოს გოგორი შეშის მომტანთანა.

აგრა აი იმ ფანჯარიდგან № 5, ჩვეულებისამებრ გაღმავლებს „ჭაერის“ სასუნთქებლათ საბრალო ჩიტი, რომელსაც შეუბრალებლივ ვერ შეხედამ ხოლმე...

აგრა იქით ორმა პატარა ბიჭმა, რომლებსაც მე შურის თვალით უცქერი, დაიწყეს ნაგვის შექუჩება, რომელიც ასე ამშვენებს სახლის უკანა ეზოსა, მაგრამ მათთვის კი ეს დიდი სიმდიდრეა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. დიდის მოუთმენლობით ველი დაბოლოებულს სურათებს ჩემის დაკვირებისას! რაკი მოიტანენ თუ არა სალამო ჟამის გაზეთებს, კარებში № 9 გამოჩნდება მაშინათვე ჩასუქებული ქალარა შერთული მოხუცებული, ძველს ნაშურის ხალათშია. იგი ჩამოჯდება ხოლმე იქვე კიბეზედ, გაშლის გაზეთს, დაიდებს მუხლებზედ და ამრიგათ იწყობს კითხვასა.

მე პირველათ არ ვიცოდი, რომ ეს თითონ სახლის პატრონი იყო, რომელსაც ეჭირა საუკეთესო სახლი, სჩანს კაცი მდიდარია. მაგრამ რალაც დამაღმებელი— გულის მომწყვლელი მხედველობა გამოსჩანს იმის თვალებიდგან და ნეტარების გამომეტყველება სახეზედ, როდესაც იგი კითხულობს გაზეთსა თავის სახლის უკანა კიბეზედ ჩამოჯდარი; მე ნება-უნებურათა ეცდილობ ხოლმე განესაზღვრო იმისი ხასიეთი. შესაძლებელია, ვფიქრობ მე, ეს იმისი ძველი დიდი ხნის ხასიეთი არის, მომეტებულათ კეთილის დროისა; შესაძლებელია მან გამოსთხოვა ცოლს ეს ერთი თავისუფლების საათი, რომ მას არ უშლიდნენ რამ საქარობის კითხვებით, როგორც ეტყობა იმას სრუ-

ლებით არ ეპიტანავება საზოგადოება და განათლებული ცხოვრება: მე ვხედავ იმას ზოგჯერ გამოჩენილი ადგილის კიბეზედ, გამოკანკლულს ტან-საცმელში, მოსაქმე კაცის მოწყობილობით, მაგრამ მაშინ იგი ჩემთვის ვილაღ უცხოთ მოჩანს და კვლავ ჩემთვის სასიამოვნოა და მახლობელიც მხოლოდ სახლის უკანა კიბეზედ ჩამომჯდარი, თავისის შინაურულის მდაბიობით, თავისის ნაშურის ხალათით, გატალახიანებულს კიბის საფეხურებზედა.

ზოგჯერ იგი თავს ანებებს გაზეთს და საღამო ხანზედ, ჩაფიქრებული გასცქერის შორს მინდორსა და მე ვფიქრობ: ხომ არ ესმის იმდროს ქრიალი სოფლით გაღებულ, ლასტის კარებისა, მინდვრიდგან დაბრუნებული საქონლის ჯარის წკრიალი და ძროხების ბლავილი... და ესენი ხომ არ იზიდავენ იმის ფიქრებსა.

ველის-ციხელი.

ხალხური ლექსი

მინდორში ბალახ-ბუღახო, ამოღებულა მოლოკო,
დაბრუნდი გოგო გაკაცო შენ ჩემო სუფის კოდოფო,

გადმითა დგანან ბაღები, გარს ახვევია ქაღები;
ერთი მახედეით შევატყობ, ვისაც რო შავებრადები.

ქართლელია ქალი ღამაზო, თვად-ჭრეფა არამზადაო,
აგრე ტურთა და ღამაზი რა დედამ გამოგზარდაო.

(შეკრებილი ზაყელისაგან).

ქამა სოკო ამოსულა მოსაგდეჯად გადიკუჭა
მეტიჩარა მოლიკდიკე არ გვასვენებს ტარაკუჭა.

ნეტავ არ გაჩენილიყავ ამერთვიანთ ხელშიო
რომელიც კარგი ხარი გვევს იმას დაგვიკვდენ რთველიშიო.

გუშინ შიჭმა დედა შოძმა ჩვენი ერდო გადიარა
ნეტამც იმას არ გადევლო გუფი დამიდარდიანა.

ვაჟ-გაცს არ გამოადგება კავთინვეფი მძახალი
ჰური და ღვინო ძველი სჯობს ტანისამოსი ახალი.

ახალი პატარძალი ვარ. შამომატარეს კერასა,
მე რომ ქმარი შემეყარა, გებრალეობდეთ ყველასა.

(შერეობილი ლ. დოლოჯობისაგან.

მიზაძვა გატმსაღვი

ხომ იცი მხარე, შემეობილი წაღვოტებითა,
სად კარდნარები გაკსუთულან ბუღბუღებითა?
სად დაქქის სიო შაკთა ფიქრთა წამტაცებელი,
სადაც მეფობს ნეტარება მაცხოვრებელი,
მუნ-ჩემო ტურფავ, შენიანა მუნ გავფრინდები,
და, გრძნობით სავსე, გრძობიერსა ჩაგკონები!

ხომ იცი კოშკი ოცნებისა დაიწეებულა,
დიდებულს დროში დიდებითა აღშენებულა?
სადაც ჰქვსდა გადმოქვსდა ძველად ცხოვრება,
სადაც მეფობდა, ტანჯვის შემდეგ სიამოვნება...
მუნ, ჩემო სულო, შენიანა მუნ გავფრინდები!
სკვდას დაუფანტავ, გემონები, შენით დავსტებები.

ხომ იცი შენ მთა დიდებულა, მთა ბუნდოვანი,
მთა შეუვალა, ტუით მოსილი, სახელოვანი,
რომლის სიამდლეს თვით აწივი კერ ვით მისწვდება,
იქ წყაროები გიჟმაჟები კლდესს ასკდება...
მუნ, ჩემო ღმერთა, შენიანა მუნ გავფრინდები,
ფიქრთ დაივიწეებ, მიმოვფანტავ, დაკუნაცლები.

რ. ალისუბნელი

ყრიელ-ავოსტა

(გაგრძელება.)

სინდრომს ხომ ვერ მახვდ მსჯავრი
 ან წარმოუთქვამს.

მანასე.

ხალხი უერს უგდებს
 ცრუ-მოწყმენებს და ანა მსჯავრსა.

ეს ურთელსაც ეცოდინება.

(შედის ოთახში. სილვა ტერასიდან ჩამოვა).

ოხანი.

საშინლად მიკვირს დე-სილვა! ნუ თუ
 შენ შენი აზრი გამოიცვალე?

სილვა.

აწავის, აწსად ნება ანა აქვს
 სასამართლოს მსჯავრი დასწროს.

ოხანი.

რა შესძის? ამის ის კაცი ამბობს,
 გინც შეჩვენა მისი თხზულება?

სილვა.

მე შეჩვენე? განა ამჟამად
 ვისთვის-მე მოთქვამს მე ჩემი აზრი
 მის თხზულებაზედ?

ოხანი.

სილვა აქ ვეველამ

იციან, რომ შენ ავოსტაზედა

შეატყობინე სინალოლას

«იგი ან არის ებრაელი!»

სილვა.

შენ შენებურად მმართვე ჩემს სიტყვებს...

მე როგორც ვხვდავ, ვერ გავიგია...

დაქსენ მაცას...

ოხანი.

კარგად გავიგე,

რომ შენ გსურს ხლვა ურთელისა

მიფარველი იყო...

სილვა.

კარგია! კმარა!

მე სულაც არ ვარ მისი მიფარველი...

მას კი გვგონობ... თათქმის დასაჯება,
 რომ მე სრულიად გამოვიცვალე!
 მე, მეგობარო, შეველაფერს გეჭუვი,
 თუ რასა გვგონობდი, რას მის თხზულებას
 ვიპელებდი...

იონაი (იქით).

ოჰ, რაღასაც ვაუბებ!

სილოვა.

მე ჩავიკეტე კარები ჩემის
 კაბინეთისა და ამ წიგნს დღე-ღამ
 ჩაკეცილებდი მე, და რა ვიგონებ?
 რამდენსაც უფრო ვკითხულობდი მას
 და მის აზრებს ღრმად ვუკვირდებოდი,
 იმდენი უფრო გულს მეშეებოდა...
 გვგონობდი, რომ ჩემში გვმნეულის ძალით
 კვლავ მერნაური მიკვდრეთით სდგებოდა...
 ჩემს თავს მუდამ მას ვუბნებოდი:
 არა, არა ეგ არ შეიძლება!
 შენ არ ჩაუტეხ ხელში რაბინებს
 მას გზა-არეულს; შენ არ გაჭეხ ნება
 გასცე ზღაპრების მოწაფე მეთქი! »
 მე ტორშიაცა და ტალმუდშიაც
 მსურდა მეზოგან თუნდ ერთი აზრი
 თანახმა იმ ღრმა შეცნიერების,
 რომელიც შემხვდა მე იმ წიგნში...
 მაგრამ ამოდ, ვერა, ვერ ვზოგე;
 და რადგანაც მე ფიცი მივეცი
 რომ მე იმ წიგნსა გამოვიკვლევდი
 ტორთან ტალმუდთან შედარებითა,
 ამისთვის მას წიგნს ზედ დავაწერე:
 „ავტორი ებრაელი არ არის“

იონაი.

დიად, მეც ვიცი; მაგრამ აჰ ხომ სჩანს
 რა-აზროვნობა...

სილოვა.

სრულადაც არა!

მე ის დაკწერე, რისთვისაც იგი
 მისცეს სასჯელსა, ვით ებრაელი.

მაგრამ... მაგრამ ის კბრალა?
 შეჩვენებით და ჯეინის წინაშე
 არა! მას თუ სურს ქრისტიანობა,
 ნება აქვს იყოს!

იონაი.

როგორ, ღუ-სიღუა?

სილვა.

მაშინ შენ კვალად დაიბრუნებდი
 ტურფა ივდიოსა...

იონაი.

რა შესმის ეს?

განა აკოსტა ქრისტიანია?

სილვა.

როცა ცხორებდა იმისი მამა
 ისევე გუენსში,—იქ მოინათლა.
 შვილებიც მონასტერში გაზარდა.
 შემდეგ, როდესაც აქ გადმოსასლდნენ,
 კვალად მიიღეს კბრალობა.
 აკოსტაც მიჭყვა მათს მაგალითსა?
 თუ უნდა იმის სწული ნება აქვს
 უწოდოს თავის თავს ქრისტიანი:

იონაი.

ქრისტიანია?... ეგ ხომ მას ივდიოს
 საუკუნოდ გაძმოსალმებს!

სილვა.

რასაკვირველია... მამ ურეული
 დაკისნხათ. შენ ხარ გაბრახუბული,
 რისათვისაცა შე შენ არ გძრახავ,—
 და მე?... ეჰ, დროა საქმეს შეუდგეთ.
 შენ მოიცადე აქ, სეივანში,
 სინდრონისა იცის, რომ არის
 მანსეს სტუმართ შორის აკოსტაც,
 ამისათვისა აქვე მოვა
 მის დასაწყევლად თვითონ რაზინიც.
 შე მოშორებით ჩემთვის ვიდგები
 და ეს ამბავი როცა დაიწყოს
 შენ წინ წამოდექ და უთხარ იმას:
 „აკოსტა, შენ ხარ ქრისტიანი-თქო!“
 ამით შენ ივდიოს შეუტრედიდი გულის
 კარგად იცი, რომ ურეულისთვის
 ქრისტიანობას ის არ მიიღებს.

მე კი, რომელიც აკოსტას მხოლოდ
 ზატავს ვნებ ისე, ვით მეცნაურსა, —
 ამით სირცხვილსა ავიცილებდა —
 პლატონს პირ-ნათლად შევეყრებოდი.

(შიდის. იონაი სინარულით თან მისდევს).

ა ნ ე გ დ ო ტ ე ბ ი

ერთ ძველს, ყველასაგან პატივცემულს და საყვარელს თავადს ნ. დ. შეხვდა თურმე არა თავის შესაფერი მეუღლა ჩ—ს ქალი. ყოველ თავის ნაკოულეფანებასთან, ბედნიერი კნენია კაპასიც კი ბრძანდებოდა. ყველანი გაოცებული იყვნენ და ეკითხებოდნენ ერთმანერთს, როგორ შეერთო ამისთანა დიდ-კაცმა და დარბაისელმა თავადმა ამისთანა ქალიო! ცოტა ხნის შემდეგ თითონაც მიხვდა თავადი თავის უბედობას და განუსაზღვრელ ჯაერს მიეცა. ჯაერმა გაიმარჯვა და თავადი ხარბი სიკვდილის მსხვერპლი შეიქმნა. ეს იყო დიდ მარხვის პირველ კვირებში. ჩვეულებისა მებრ დანიშნა ტირილის დღე. სხვა მრავალ მოტირალთა შორის მივიდა ერთი დარბაისელი თავადი ს. გ—ვა, ვითარცა ჰირის-უფალს, მიჰმართა განსვენებულის უღირსს მეუღლას მისატირებლად, მაგრამ ქვრივმა მოასწრო და მიაყვირა: „ს... გამექცა ჩემი ნუგეში—გამექცა და დამემალა, მაგრამ ამ აღდგომამდი მაინც მივეწევი, მარტო ვერ გაუშვებ არ შემძლიო! »

— «ნუ იქ მაგას თუ ღმერთი გწამს! უპასუხა მიმტირებელმა. ამ ქვეყნად შენგან ჰქონდა მოხაშმული დღე და წუთი სოფელიო! არც აღდგომა იცოდა უბედურმა და არც ახალი წელიწადიო. ეხლა შეეკვდლა, ცხონებული, იმ სოფელს და ღვთის გულისათვის დააცადე—ერთი აღდგომა მაინც გაითენოს გაუმწარებელიო! »

—ლი.

მეგრელიაში ერთგვარი ჩვეულება არსებობს თურმე. მაგალითად: ვინმე მიიყვანს, რომელიმე დიდკაცთან შეიღოს და სთხოვს, რომ თქვენიჰირიმე ჩემი შეილი შეილობილად აიყვა-

ნეთო, ისიც უარს არ ეტყვის და ნიშნად «შვილებულ-მამობი-
ლობისა» შამოაჭრის თმას თავის შვილობილს... ერთ ხელ
ერთმა პატივცემულმა ქერივმა სთქვა ერთს საზოგადოებაში:
ჩემი შვილი ბედნიერია, რადგან ამა და ამ კაცისაგან აქვს თმა
შამოაჭრილი და წარმოიდგინეთ ი'ე ზრუნავს ჩემი შვილისთვის,
რომ მეტი ზრუნვა წარმოუდგენელიაო.

«როგორ თუ თმა შამოაჭრილი?» იკითხა იქვე მჯდომმა
—მა. მაშინ კეკელსმა შერივმა აუხსნა, თუ რას ნიშნავდა
მათში თმის შამოაჭრა.

— «მერე-და, თმის შამოაჭრელი ვალდებულა იზრუნოს
თავისი თავის თმა შამოაჭრილისათვის?» იკითხა კიდევ —მა.

— «ზნობის მხრით—უეჭველად!» მიუგო ბედნიერის შვი-
ლის დედამ.

— ეჰ! საბრალო, არ სენ პარიკმახერო, რა დიდი მზრუნ-
ველი კაცი ყოფილხარო“. სთქვა —მა და ნაღელიანად ჩაი-
ცინა.

—ლი.

როცა ივანე IV, რუსეთის მეფემ „ნოვგოროდი“ დაიპყრო
და ხალხს შეუბრალებლათ ახ.რცინებდა, ერთი მოხუცი მივიდა,
უმი ხორცი მიაწოდა მეფეს საქმელად და უთხრა:

— მიირთვით, მეფეო!

— განა დიდმარხვაში და ისიც უმი ხორცი იქმევია? გა-
კვირვებით ჰკითხა მეფემ.

— დიდებულო მეფეე, აღამიანის ხორცის ჭამას, კიდევ
პირუტყვის ხორცის ჭამა სჯობსო, უპასუხა მოხუცმა.

ივლიანე სენაკელი.

ერთს ყასაბს, ძაღლმა ხორცი მოსტაცა. წავიდა ყასაბი
აღვოკატთან რჩევის საკითხველათ. ბატონო აღვოკატო, ძაღლ-
მა ხორცი რო მოიტაცოს ვინ უნდა გარდაინახოს ხორცის
ფასი? რასაკვირველია, ძაღლის პატრონმაო, უპასუხა აღვოკატმა.
მაშ ბატონო, თქვენმა ძაღლმა დღეს სამ მანათ ნახევრის ხორ-
ცი მომტაცა და გთხოვთ მიბოძოთო. დიდის კმაყოფილებით,
მიუგო აღვოკატმა, მაგრამ რჩევის ფასი ერთი თუმანი არისო.

შეგირდმა სტოლზე მელანი წააქცია და ორივე ხელები
მოითუთხნა. მასწავლებელმა აიღო „ლინეიკა“ და ცემას რო

უპირებს; იმ დროს უთხრა შეგირდს; თუ მთელ კლასში ამის-
თანა გასერილ ხელს მეორეს იბოენი გაბატოვებო. აი! ბატო-
ნო, წამოიძახა გახარებულმა ყმაწვილმა, და გაუშვირა მეორე
უარესად მოთუთხნული, ხელი.

ჟეი.

ნ ა რ ე კ ი

ორი გზა არის კეთილი საქმისადმი: საქმით აღწევს მას ბე-
დნიერი, უბედური მოთმინებით

ნურჯავის ნუ ანდობ ნურც შენ სახელს ნურც შენს ბედნიერ-
ბას

პატიოსანი გონება პატივს სცემს პატიოსან ხატებას.
(შილლერი)

მედიდურობა განცხრომით საუზმობს, სიღარიბე სადილობს
და სირცხვილით კანშმობს.
(ფრანკლინი)

ბეჭდულ ითქმება ბეჭდი როცა არაფერს არ ლაპარაკობენ.

ქალების საზოგადოება ყმაწვილ კაცებს უფუჭებს წესს, მაგ-
რამ უარკეცებს გემოვნებას.

ჭკუა ქალისათვის ისეთიგვა, რაც კარდისათვის კვადი.

დ.—დ—მუ—ძი—ს

ექსპრომტები.

ქალებს.

ღამაში ხართ ვით ვენერა
თუ არ გაგინებენ შურით,—
მაგრამ ღამაში ტანს იფუჭებთ
მაგ ბედლის სისხლ ტურნურით.

რომ მე ვიყო დიდი კაცი,
ჰქონდეს ჩემს სიტუვას გავლენა,—
დმერთსა ვფიცავ, დავუმოკლო,
უველა კაპას ქალებს ენა.

ქგი.

რას სტირი, დაო, ნეტავი
რას დაგიტბრის თვალები?
რით ვერ შესწუვიტე აქამდის
მაგდენი ცრემლთა დვარები?
შენი შემცქერი დობილო,
მეც მდუმრად დავიარები,
და ბევრჯელ ჩამომცვივნია
ნამთ დანამგზავსი ცვარები.
როდეს გიმზერდე უწყალო,
გულ შიგანა გვტირებოდეს,—
ვით გასძლოს გულმა თუნდ ქვამაც
რომ არც კი აჩუყდებოდეს?
ღნინშიაც ვიყო მხედავდე
თუნდ უველას ეცინებოდეს,
გული გულს შეჰკვნეს მწუნარედ
და—უნდა მეტირებოდეს.
თვალები ცრემლთა დაშრიტეს,
გული სევდამან გალია;
მუნთალი მუნთლად მაგვხედავს,
არას დროს შებრალია...

ნეტავი შამეძლებოდეს,
სევდა ვიტვირთო უველა მე,
ან ცოცხლივ თავის დადება,
ან სხვა რითიმე შველაზე!

(ზაყელი)

რედაქტორი-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

საყოველ - კვირათა სალიტერატურთა და
სახატურთა გაზეთი

თ ე ა ტ რ ი

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა და მი-
ნაარსით როგორც აქამდე, ხოლო ფორმატი გაზეთისა
შეიცვლება: წინდაწინდელსე ერთი ორად დიდი იქნება,
ასე რომ წლის ბოლოს გაზეთი თ ე ა ტ რ ი დ გ ა ნ
შესდგება ორი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664
გვერდს.

თ ე ა ტ რ ი დანბეჭდებიან: სხვათა მონის
მოთხრობანი როგორც ორგინალური აგრეთვე საუკეთესო
რუსო თხზულებათა თარგმანები, ჰიესები: ვოდვეილი,
კომედია და ტრაგედია, ანეკდოტები: მოსწრებული სი-
ტუეები, გასართობები სასაცილო ამბები და სხვა... გა-
მოცანები. სალხური. სამატემატიკო, საარითმეტიკო;
ანდაზები, იგავები; ლექსები: კრიტიკა და ბიბლიოგრა-
ფია; გარჩევა ჰიესებისა და წარმადგენებისა, რეცენ-
ზიები და სხვა...



რადგანაც აქა-იქა სოფლებში მატულობს რიცხვი სცენის მოყვარეთა, რომელნიც ჭსაჭიროებენ იმ გვარ ჰიესებში, რომელთაც წარმოდგენა ადვილად შეიძლებაოდეს, ამისათვის რედაქცია თავის მოვალეობათა ჭრაცხს დააკმაყოფილოს მათი სურვილი სცენასე ადვილად წარმოსადგენი ჰიესების ბეჭდით.

გაზეთ თ ე ა ტ რ ი მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს საუკეთესო მწერლები.

რედაქციას უკვე აქვს რამდენიმე ახალი ორიგინალური თხზულება ჩვენის გამომცემლის მწერლებისა.

წლიური ხელის მოძვერნი წლას დამლევს მიღებენ საჩუქრად ოქროს ვარაუიან ედაში შეკრულს დიდ წიგნს, რომელშიაც იქნება არა ნაკლებ საში კლასიკური ჰიესისა და რომელიც ეღირება არა ხელის მოძვერთათვის ო რ ი მ ა ნ ე თ ი.

ფასი გაზეთი თ ე ა ტ რ ი ს: ერთი წლით 5 მ. ნახევარ წლით 3 მან.

რედაქციის კანტორა არის არწრუნისეულ ქარვასლაში № 149.

ადრესი გარეშე ხელის მოძვერთათვის: Тифлисъ. Контора редакціи газеты „ТЕАТРЪ“. Галлерейя бывш. Арцруни № 149.

IX годъ 0 ПОДПИСКЪ на 1887. годъ IX.

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ

на годъ
безъ дост.
въ спб.
4 Р.

М И Р Ъ

на годъ
съ доставк.
и пересылк.
6 Р.

большой еженедельный иллюстрированный журналъ.

съ разными бесплатными приложеніями и роскошными преміями,

Журналъ выходитъ въ форматѣ большихъ иллюстрацій въ количествѣ 52 №№ въ годъ и печатается прек-

расной бумагѣ; каждый номеръ заключаетъ въ себѣ множество изящно-исполненныхъ рисунковъ, представляющихъ снимки съ художественныхъ произведеній и иллюстраціи событій мировой жизни. Всѣ подписчики «Иллюстрированнаго міра» получаютъ въ теченіи года бесплатно:

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЯ ЛИТЕРАТУРНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ, въ которыхъ помѣщаются наиболѣе выдающіеся беллетристическія произведенія представителей иностранной литературы; эти приложенія къ концу года составятъ нѣсколько томовъ вполне законченныхъ романовъ.

ХУДОЖЕСТВЕННЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ

состоящія изъ велико лѣнныхъ фотографическихъ снимковъ съ замѣчательныхъ картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ; подобныхъ богатыхъ въ художественномъ отношеніи приложеній не давалъ еще ни одинъ журналъ въ Россіи.

Ежемесячно при журналѣ «Иллюстрированный Міръ» выдается особое даровое приложеніе:

„НОВѢЙШІЯ ПАРИЖСКІЯ МОДЫ“

съ выкройками въ натуральную величину; на выкроенныхъ листахъ помѣщается масса руководящихъ и выплотовочныхъ работъ. Въ модныхъ приложеніяхъ въ теченіи года дается до 500 рисунковъ модъ съ описаніями. Кроме всего, годовые подписчики «Иллюстрированнаго Міра» получаютъ главную премію.

великолѣпную большую олеографическую картину:

ВЫБОРЪ ЦАРСКОЙ НЕВѢСТЫ

Оригиналъ этой картины исполненъ по заказу редакціи. Сюжетъ картины относится къ XVII вѣку и изображаетъ блестящую сцену въ большой залѣ Кремля, когда предъ юнымъ царемъ Алексѣемъ Михайловичемъ предстали красавицы собранныя со всей русской земли. Богатое убранство Большой залы, драгоценные наряды, въ которыхъ явились предъ царемъ, роскошныя русскія красавицы, и восхищенный ими юный царь, сходящій съ трона въ блестящемъ одѣяніи, все это поражаетъ и очаровываетъ зрителя.

ბეჭდვის ადგილი. ბეჭდვის ადგილი. Доз. цензурою Тиф. 4 Января 1887 г.